

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია  
**GEORGIAN BAR ASSOCIATION**  
**WWW.GBA.GE**



*GBA-Newsletter*

მაისი 2017

საქართველოს, ბალტიის ქვეყნებისა და დსთ-ს ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციებმა იურიდიული პროფესიის თანამედროვე გამოწვევებზე იმსჯელეს



2017 – 12-13 მაისს თბილისში უმასპინძლა საქართველოს, ბალტიის ქვეყნებისა და დსთ-ს ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციას. ღონისძიება გაიხსნა საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მიმართებით.

კონფერენციას ესწრებოდნენ ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს (CCBE) და ცხრა საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (GBA), ხოლო მხარდამჭერები - ევროპის საბჭო, ევროკავშირი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“, რომელსაც ახორციელებს აღმოსავლეთ დასავლეთ მართვის ინსტიტუტი (EWMI/PROLoG).

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს ნილს სკოტმა - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში, მარია სლაზაკმა - ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს PECO კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, პიტერ დენისმა - საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მართლმსაჯულების პროგრამების მენეჯერმა, გიორგი ჩხეიძემ-EWMI/PROLoG პროგრამის ხელმძღვანელმა და ზაზა ხატიაშვილმა - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ.



ორი დღის განმავლობაში, კონფერენციის მონაწილეებმა ისაუბრეს იურიდიულ პროფესიის თანამედროვე გამოწვევებზე და საერთაშორისო პრაქტიკაზე ამ სფეროში. მათ შორის, სხვადასხვა ქვეყანაში იურიდიული პრაქტიკის გარანტიებსა და ექსკლუზიურობაზე, საქართველოში იურიდიული პროფესიის კონსტიტუციურ გარანტიებზე, ადვოკატურის საერთაშორისო გარანტიებზე, ადვოკატთა უფლებების და იურიდიული პროფესიის თავისუფლებების დაცვაზე, იურიდიულ პროფესიაში შესვლაზე და განათლების სტანდარტებზე, საზღვართაშორის დავებზე, სოციალური ქსელისა და მედიის გავლენაზე იურიდიულ პროფესიაზე და მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.



# ადვოკატთა ასოციაციამ სამოქალაქო სამართალწარმოების შესახებ დისკუსია გამართა



30 მაისს, სასტუმრო „რუმს“-ში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოწვევით გამართა მრგვალი მაგიდა-დისკუსია მოსამართლეებს და ადვოკატებს შორის (Bench-Bar შეხვედრები). ეს არის მსგავსი შეხვედრების რიგით მეექვსე ღონისძიება, სადაც ორივე პროფესიისთვის აქტუალური საკითხები განიხილეს: სასამართლო მედიაცია - პრაქტიკა, დღევანდელი და განვითარების პერსპექტივები, მოსამართლის როლი დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის კონტექსტში; მტკიცების ტვირთის გადანაწილება, მხარეთა მტკიცების ტვირთი; დაუშვებელი მტკიცებულებები.

Bench-Bar შეხვედრას და მუშაობას ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი უძღვებოდა. აღინიშნა, რომ ასეთი ღონისძიებები, სხვადასხვა იურიდიული პროფესიების ჩართულობით, აუცილებელია ქვეყანაში ხარისხიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებისათვის.

შეხვედრები ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით. მსგავსი შეხვედრები უკვე ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: ქუთაისი, ბათუმი, ანაკლია და მომავალშიც იგეგმება.

## ადვოკატთა ასოციაციის ჩემპიონატის ფინალური მატჩი გამართა



საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, ტრადიციად ქცეული, საფეხბურთო ჩემპიონატი გამართა. ადვოკატ ზაზა შველიძის გუნდმა ზედიზედ მესამედ მოიგო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თასი. ფინალური მატჩი საკმაოდ დამაბული გამოდგა, იურიდიული დახმარების სამსახურის გუნდი მხოლოდ მინიმალური სხვაობით 2-1 დამარცხდა.

ტურნირი იყო ძალიან საინსტერესო, გუნდები მოვიდნენ მომზადებულები ყველა მატჩი იყო დამაბული. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო ბომბარდირი გახდა „ტარიელ კბილაშვილის“ გუნდის ლიდერი ირაკლი ნანობაშვილი, რომელმაც საოცარი შთაბეჭდილება დატოვა. ტურნირის ნამდვილი მშვენიერება იყო საუკეთესო მეკარე, ზაზა შველისძის გუნდის ლიდერი, ნიკა აბუთიძე, რომლის ბრწყინვალე თამაშმა გადაწყვიტა ფინალური და ნახევარფინალური მატჩის ბედი. მაყურებელთა სიმპატიის პრიზი გადაეცა უბერებელ, 54 წლის ტარიელ კბილაშვილს, რომლის ფინტებმა ადფრთოვანებაში მოიყვანა პუბლიკა. ადვოკატთა ასოციაცია ულოცავს ზაზა შველიძის ბრწყინვალე გუნდს გამარჯვებას და უსურვებს შემდგომ წარმატებებს.

## თანამშრომლობის მემორანდუმი ევროპის უნივერსიტეტთან



სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ“ ევროპის უნივერსიტეტთან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სწავლების მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. ამ ეტაპზე თანამშრომლობის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის მეოთხე კურსის/მაგისტრატურის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კლინიკაში გაიარონ სწავლების პრაქტიკული კომპონენტი 15 კვირის განმავლობაში.

კლინიკა შედგება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილისაგან. კლინიკაში საქმიანობის დაწყებამდე სტუდენტები გაივლიან სათანადო თეორიულ-ინტერაქტიულ კურსს იმ ძირითადი უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად, რაც მათ მისცემს საშუალებას დამოუკიდებლად გაართვან თავი კლინიკაში დაგეგმილ აქტივობებს. იურიდიული კლინიკით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის დასასრულს მოეწყობა იმიტირებული პროცესი. კლინიკის ფარგლებში სტუდენტები იმუშავენ როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე.

კლინიკის მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც შეესაბამება მაღალ ეთიკურ სტანდარტებს და საადვოკატო საქმიანობის არჩევის შემთხვევაში იურისტი მზად იყოს ეთიკური საადვოკატო პრაქტიკისათვის.

ადვოკატთა ასოციაცია ევროპის უნივერსიტეტთან თანამშრომლობას სხვა მიმართულებითაც გეგმავს. მემორანდუმს ხელი ასოციაციის თავმჯდომარემ ბატონმა ზაზა ხატიაშვილმა და უნივერსიტეტის რექტორის უფლებამოსილმა პირმა სამართლის ფაკულტეტის დეკანმა იოსებ კელენჯერიძემ მოაწერეს.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კლინიკა 2016 წლის 15 მარტიდან ფუნქციონირებს და ამ ეტაპზე ასოციაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობს.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სწავლებას უმაღლესი განათლების დაწესებულებებში მხარს უჭერს USAID-PROLOG-ის პროექტი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება.“

## შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან



2 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი და აღმასრულებელი საბჭოს წევრები ირაკლი ყანდაშვილი და დავით ასათიანი მომავალ იურისტებს შეხვდნენ და ადვოკატის პროფესიის შესახებ დისკუსია გამართეს.

შეხვედრა წარიმართა დიალოგის ფორმატში და მის ფარგლებში განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თანამედროვე გამოწვევები და საერთაშორისო მიღწევები, ადვოკატის პროფესიაში შესვლის სტანდარტები და საგანმანათლებლო ასპექტები, რეფორმები.

შეხვედრები ადვოკატის პროფესიის ირგვლივ გაგრძელდება და საქართველოს მასშტაბს მოიცავს, რომლის მიზანია მომავალმა იურისტებმა და საზოგადოებამ უფრო მეტი გაიგოს ადვოკატის პროფესიის მნიშვნელობის და როლის შესახებ.

# სასწავლოცენტრი

## 2017 წლის მაისში განხორციელებული საგანმანათლებლო ღონისძიებები

### თბილისი

- 11 მაისი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 15 მაისი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;
- 15 მაისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- 15 მაისი – ვადები და ხანდაზმულობა;
- 16 მაისი – საგადასახადო სამართალი;
- 18 მაისი – ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეგულირება;
- 18 მაისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- 19 მაისი – ნაფიცმსაჯულთა ინსტრუქციები, ნაფიცმსაჯულთაშერჩევა;
- 19 მაისი – ეკონომიკური დანაშაულები;
- 20 მაისი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 22 მაისი – ვადები და ხანდაზმულობა;
- 22 მაისი – ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეგულირება;
- 23 მაისი – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 23 მაისი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში;
- 23 მაისი – საგადასახადო სამართალი;
- 24 მაისი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;
- 25 მაისი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;
- 25 მაისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- 25 მაისი – კლიენტთან ინტერვიუს ჩატარების თავისებურებანი: კლიენტთან ინტერვიუ, ეფექტური კომუნიკაცია, პირველი შეხვედრა კლიენტთან, საქმის ანალიზი, დაცვის პოზიციის/სტრატეგიის ფორმირება;
- 29 მაისი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;
- 30 მაისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- 30 მაისი – ეკონომიკური დანაშაულები;
- 31 მაისი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა.

### ქუთაისი

- 8 მაისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- 18 მაისი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ;
- 30 მაისი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა.

ბათუმი

10 მაისი –პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;

16 მაისი –ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;

17 მაისი –ოჯახში დაქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები;

19 მაისი –სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;

20 მაისი –შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ.

## 2017 წლის ივნისში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი

11 მაისი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;

15 მაისი –საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო თბილისი

1 ივნისი – ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეგულირება;

1 ივნისი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები;

1-2 ივნისი – TOT - სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გარიგების ფორმა და საცილო გარიგებები;

2 ივნისი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა;

5 ივნისი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;

5-6 ივნისი – TOT - სანივთო სამართალი (გირავნობა/იპოთეკა, საკუთრების აღიარებისა და რეგისტრაციის საკითხები;სამეზობლოსამართალი);

6 ივნისი – საგადასახადო სამართალი;

6-7 ივნისი – TOT - ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში: არანებაყოფილობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსება და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები; კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ;

6-7 ივნისი – შეწყნარებლობასთან ბრძოლა;

7 ივნისი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა;

8 ივნისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;

8-9 ივნისი – TOT - ახალი ცვლილებები სამოქალაქო 12 კოდექსში (კერძოდ: საპროცენტო განაკვეთი, უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხები, საბანკო კრედიტი);

9 ივნისი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;

12 ივნისი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;

12 ივნისი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;

12 ივნისი – ვადები და ხანდაზმულობა;

13 ივნისი – საგადასახადო სამართალი;

14-15 ივნისი – სამართლიანი სასამართლო განხილვა;

15 ივნისი – ეკონომიკური დანაშაული;

16 ივნისი – ხელშეკრულებიდან გასვლის დახელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეგულირება;

16-17 ივნისი – TOT - კანონი საჯარო სამსახურის შესახებ: შვებულება და ხელშეკრულებები, საჯარო სამსახურის შესახებ კანონისა და შრომის კოდექსის მსგავსებები და განსხვავებები საჯარო სამსახურთან მიმართებაში;

17 ივნისი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;



- 19 ივნისი – სამართლებრივი დოკუმენტების მართლწერა: განცხადების, შუამდგომლობები, საჩივრების, შესავალი და დასკვნითი სიტყვების და სხვა დოკუმენტების მომზადება;
- 19-20 ივნისი – TOT - მემკვიდრეობითი სამართალი;
- 19-20 ივნისი – TOT - საპროცესო დოკუმენტების (შუამდგომლობების) დასაბუთება;
- 20 ივნისი – პატიმრობის კოდექსი: სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის აღსრულება;
- 21 ივნისი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;
- 21 ივნისი – ინტერნეტ სამართალი - მომხმარებელთა უფლებები და კომპანიების ვალდებულებები;
- 21-22 ივნისი – TOT - სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ქმედების კვალიფიკაციის აქტუალური საკითხები;
- 22 ივნისი – ვადები დახანდაზმულობა;
- 23 ივნისი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში;
- 23 ივნისი – სამართლებრივი დოკუმენტების მართლწერა: განცხადების, შუამდგომლობები, საჩივრების, შესავალი და დასკვნითი სიტყვების და სხვა დოკუმენტების მომზადება;
- 27-28 ივნისი – TOT პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვა;
- 28-30 ივნისი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

**ქუთაისი**

- 2-3 ივნისი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 9 ივნისი – კლიენტთან ინტერვიუს ჩატარების თავისებურებანი: კლიენტთან ინტერვიუ, ეფექტური კომუნიკაცია, პირველი შეხვედრა კლიენტთან, საქმის ანალიზი, დაცვის პოზიციის/ სტრატეგიის ფორმირება;
- 10 ივნისი – ინტერნეტ სამართალი - მომხმარებელთა უფლებები და კომპანიების ვალდებულებები;
- 16 ივნისი – ეკონომიკური დანაშაული;
- 19 ივნისი – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები.

**ბათუმი**

- 6-9 ივნისი – ნაფიცმსაჯულთა სასამართლო;
- 14 ივნისი – ნაფიცმსაჯულთა ინსტრუქციები, ნაფიცმსაჯულთა შერჩევა;
- 20 ივნისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708 ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33

### **თბილისი**

**ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36**

**ტელ.: (+99532) 222 46 54**

**ელ. ფოსტა: [info@gba.ge](mailto:info@gba.ge)**

**სამუშაო საათები 10:00-18:00**

**შესვენება 14:00-15:00**

### **ქუთაისი**

**ნოდარ დუმბაძის ქ. N8**

**ტელ.: (0431) 247 247**

**ელ. ფოსტა: [info.qutaisi@gba.ge](mailto:info.qutaisi@gba.ge)**

**სამუშაო საათები 10:00-18:00**

**შესვენება 14:00-15:00**

### **თელავი**

**ვარდოშვილის 15**

**ტელ.: (0350) 272 015**

**ელ. ფოსტა: [info.telavi@gba.ge](mailto:info.telavi@gba.ge)**

**სამუშაო საათები 10:00-18:00**

**შესვენება 14:00-15:00**

### **ბათუმი**

**სარაჯიშვილის ქ. 22**

**ტელ.: (0422) 29 29 02**

**ელ. ფოსტა: [info.batumi@gba.ge](mailto:info.batumi@gba.ge)**

**სამუშაო საათები 10:00-18:00**

**შესვენება 14:00-15:00**

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი**

**ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708**

**ელ. ფოსტა: [education@gba.ge](mailto:education@gba.ge) / [sascavlocentri@gba.ge](mailto:sascavlocentri@gba.ge)**

**სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე**

**შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.**

**მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33**